საქართველოს სახალხო დამცველის საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს სახალხო დამცველი

№11 პერიოდული გამოცემა 2016 წ. ნოემბერი

გამოცემულია ევროკავშირის პროექტის „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ხელშეწყობა" მხარდაჭერით

1. სახალხო დამცველის მისალმება

საქართველოს სახალხო დამცველი
უჩა ნანუაშვილი

ნოემბრის მნიშვნელოვან მოვლენათა შორის უპირველეს ყოვლისა საერთაშორისო ომბუდსმენის ინსტიტუტის მსოფლიო კონფერენციაზე მოხსენებით გამოსვლა მინდა გავიხსენო. მსოფლიოს 90-ზე მეტი ქვეყნის 170-ზე მეტი დამოუკიდებელი ომბუდსმენის ინსტიტუტის წარმომადგენელთა წინაშე ვისაუბრე ჩვენი აპარატის მრავალმხრივ მანდატზე, რომელიც ბოლო წლებში კიდევ უფრო გაფართოვდა და უფლებამოსილებისა და საქმიანობის ფარგლების გათვალისწინებით, ერთ-ერთ ყველაზე ძლიერი ინსტიტუტია მსოფლიო ომბუდსმენთა ინსტიტუტებს შორის. დეტალურად განვიხილე პრევენციის ეროვნული მექანიზმის, ანტიდისკრიმინაციული კანონის იმპლემენტაციის და გაეროს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციის მონიტორინგის მექანიზმები.

შინაარსი:

1. სახალხო დამცველის მისალმება 1
2. სახალხო დამცველის საჯარო განცხადებები 2
3. სახალხო დამცველის და სახალხო დამცველის მოადგილეების შეხვედრები და საერთაშორისო ვიზიტები 3
4. სახალხო დამცველის რეკომენდაციები, წინადადებები და ზოგადი წინადადებები 5
5. სახალხო დამცველისა და სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობა 7
   სამოქალაქო განათლების მიზნით ჩატარებული ღონისძიებები 11
6. რეგიონული დეპარტამენტის პერიოდული საქმიანობა 12
7. წარმატებული საქმეები 13
8. ღირსშესანიშნავი თარიღები 14
9. საერთაშორისო სიახლეები ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით 14
10. სახალხო დამცველის აპარატის ამბები 15

ასევე მინდა აღვნიშნო კონფერენცია, მინიმალური ხელფასის პოლიტიკის შესაბამისობის შესახებ, რომელზეც საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და საერთაშორისო ვალდებულებების ჭრილში, მინიმალური ხელფასის პოლიტიკის შესაბამისობის შემოწმების შესახებ

კვლევა გამოვაქვეყნეთ, მოქმედი შრომის კოდექსის ხარვეზები განვიხილეთ და სხვა ქვეყნების გამოცდილებასა და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით შემუშავებული რეკომენდაციები წარმოვადგინეთ.

გვერდს ვერ ავუვლი ქალის გენიტალიების სავარაუდო დასახიჩრების შემთხვევათა საშინელ ფაქტს, რომელიც ჯანმრთელობის, უსაფრთხოების, ფიზიკური ხელშეუხებლობისა და წამების აკრძალვის უფლების დარღვევის უკიდურესი ფორმაა. ამგვარი პრაქტიკა ძირითადად ქალზე და მის სხეულზე კონტროლის მიზნით ხორციელდება. ამ ქმედებისადმი ჩვენი აღშფოთება საჯარო დებატებზეც გამოვხატეთ, რომელიც თელავში გავმართეთ – თემაზე: ტრადიციით გამართლებული ძალადობა გოგონებსა და ქალებზე.

დებატებზე ვისაუბრეთ ევროსაბჭოს კონვენციაზე „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლასა და პრევენციაზე“ სადაც ცალკე მუხლი ეთმობა „ქალის გენიტალიების დასახიჩრებას“. კონვენცია სახელმწიფოებს მოუწოდებს მიიღონ ყველა ზომა, რომ ქალთა და გოგონათა გენიტალიების დასახიჩრების პრაქტიკა იქნას კრიმინალიზებული. საქართველომ ამ კონვენციას ხელი 2014 წელს მოაწერა, თუმცა დღემდე მისი რატიფიცირება არ მომხდარა.

მინდა კიდევ ერთხელ მოვუწოდო საქართველოს მთავრობას უახლოეს მომავალში განახორციელოს კონვენციის რატიფიცირება და მიიღოს ყველა ზომა ამ ახლად აღმოჩენილი მავნე პრაქტიკის აღმოსაფხვრელად.

ნოემბრის თვეში რამდენიმე ზოგადი წინადადება მოვამზადეთ ანტიდისკრიმინაციული კანონის აღსრულების მონიტორინგის ფარგლებში, გავმართეთ ტრენინგები, საერთაშორისო შეხვედრები. აქვე მინდა სიამოვნებით აღვნიშნო, რომ წელს ცნობილი ქართველი ფემინისტი ქალის კატო მიქელაძის სახელობის პრემია ჩემს მოადგილეს ეკატერინე სხილაძეს გადაეცა. ეკატერინე უკვე 4 წელია სახალხო დამცველის აპარატში მუშაობს და მისი საქმიანობის დაფასება, თავისთავად მიუთითებს გენდერული თანასწორობის დამკვიდრებისკენ მიმავალ გზაზე საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობის მნიშვნელოვან წვლილზე. იმედი მაქვს, ჩვენი თავდაუზოგავი მუშაობა შედეგიანი იქნება და საქართველო მალე გახდება გენდერული სტერეოტიპებისგან, სტიგმისა და ფემიციდისგან თავისუფალი ქვეყანა.

სახალხო დამცველის საინფორმაციო ბიულეტენში, ჩვეულებისამებრ, შეგიძლიათ მრავალ საინტერესო და მნიშვნელოვან მოვლენას გაეცნოთ.

2. სახალხო დამცველის საჯარო განცხადებები

2.1. განცხადება საბავშვო ბაგა-ბაღის მხრიდან ბავშვის საუკეთესო ინტერესების უგულებელყოფის შესახებ

10 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა უარყოფითად შეაფასა თბილისის ერთ–ერთ საბავშვო ბაგა-ბაღში აღსაზრდელთა მონაწილეობით დადგმული „ქორწინების“ სცენა და აღნიშნა, რომ სკოლამდელ დაწესებულებებში მიმდინარე სააღმზრდელო თუ საგანმანათლებლო პროცესი უნდა ემსახურებოდეს ბავშვის ჰარმონიულ განვითარებას და შეესაბამებოდეს მის ასაკობრივ საჭიროებებსა და შესაძლებლობებს.

საქართველოს სახალხო დამცველმა მოუწოდა სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებს, იხელმძღვანელონ სკოლამდელი აღზრდის სტანდარტებით და ბავშვის სააღმზრდელო პროცესი წარმართონ მისი ასაკისა და განვითარების შესაბამისად, გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის ძირითადი პრინციპების გათვალისწინებით.

2.2. განცხადება ქალის გენიტალიების დასახიჩრების შემთხვევებთან დაკავშირებით

11 ნოემბერი. საქართველოს სახალხო დამცველმა საკუთარი ინიციატივით დაიწყო ყვარლის მუნიციპალიტეტში ქალის გენიტალიების სავარაუდო დასახიჩრების შემთხვევათა შესწავლა. ადგილობრივმა მოსახლეობამ დაადასტურა ამგვარი პრაქ-

ტიკის არსებობა, რა დროსაც გოგონებს კლიტორის მცირე ნაწილს მაკრატლით კვეთენ.

სამწუხაროდ, მოსახლეობა არ ფლობს ინფორმაციას რისკებისა და გართულებების შესახებ. ასევე, არ იციან თუ რა მიზანს ემსახურება ეს ე.წ. „ნათლობა“ და მას ძირითადად რელიგიურ წეს-ჩვეულებებს უკავშირებენ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ყვარლის რაიონულ სამმართველოს უფროსის ცნობით, ამ ფაქტების შესახებ შეიტყვეს, თუმცა გადამოწმებისას არ დადასტურდა. ინფორმაციას არ ფლობდა არც სამედიცინო დაწესებულების მორიგე ექიმი.

ქალის გენიტალიების დასახიჩრება ქალის ჯანმრთელობის, უსაფრთხოების, ფიზიკური ხელშეუხებლობისა და წამების აკრძალვის უფლებადარღვევის უკიდურესი ფორმაა. ამგვარი პრაქტიკა ძირითადად ქალზე და მის სხეულზე კონტროლის მიზნით ხორციელდება.

აღსანიშნავია, რომ საქართველომ 2014 წელს ხელი მოაწერა ევროსაბჭოს კონვენციას „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლასა და პრევენციაზე“ სადაც ცალკე მუხლი ეთმობა „ქალის გენიტალების დასახიჩრებას“. კონვენცია სახელმწიფოებს მოუწოდებს მიიღონ ყველა ზომა, რომ ქალთა და გოგონათა გენიტალიების დასახიჩრების პრაქტიკა - როგორც განხორციელება, ისე წაქეზება, გარიგება ან იძულება იქნას კრიმინალიზებული. სამწუხაროდ, ამ დრომდე კონვენციის რატიფიცირება არ მომხდარა.

სახალხო დამცველმა კიდევ ერთხელ მოუწოდა საქართველოს მთავრობას, უახლოეს მომავალში განახორციელოს სტამბულის კონვენციის რატიფიცირება და მიიღოს ყველა ზომა ამ ახლად აღმოჩენილი მავნე პრაქტიკის აღმოსაფხვრელად.

3. სახალხო დამცველის და სახალხო დამცველის მოადგილეების შეხვედრები და საერთაშორისო ვიზიტები

3.1. შუალედური ანგარიში ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ გაეროს კომიტეტს

3 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კომიტეტში შუალედური ანგარიში წარადგინა, რომელიც ეხება 2014 წელს კომიტეტის მიერ საქართველოს მთავრობისთვის მიცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობას, ქალთა მიმართ ძალადობისა და ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის მიმართულებით.

შუალედურ ანგარიშში საუბარია ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის კუთხით არსებულ გამოწვევებზე; მათ შორის, საკანონმდებლო რეგულაციებსა და ეროვნული სამოქმედო გეგმების ეფექტურ იმპლემენტაციასთან დაკავშირებულ პრობლემაზე, ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ მიმართული საკანონმდებლო ინიციატივების განუხორციელებლობაზე. ასევე, იმ უწყებებს შორის ინფორმაციის გაცვლისა და კოორდინაციის არაეფექტურ პრაქტიკაზე, რომელთაც ოჯახში ძალადობის აღკვეთა ევალებათ. ხაზგასმულია „ქალთა წინააღმდეგ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და პრევენციის შესახებ“ ევროპის საბჭოს 2011 წლის კონვენციის რატიფიცირების მნიშვნელობა.

3.2. შეხვედრა სომხეთის ომბუდსმენთან

7 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი საქართველოში ვიზიტით მყოფ სომხეთის ახლადარჩეულ ომბუდსმენს არმან ტატოიანს შეხვდა და სამომავლო გეგმები და თანამშრომლობის შესაძლებლობები განიხილა.

უჩა ნანუაშვილმა სტუმარს საქართველოს სახალხო დამცველის მანდატი და საქმიანობა გააცნო; ისაუბრა ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებით საქართველოსთვის აქტუალურ გამოწვევებსა და პრობლემებზე. სომხეთის დელეგაცია განსაკუთრებით დაინტერესდა პრევენციის ეროვნული მექანიზმისა და ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის საკითხებით.

3.3. საქართველოს სახალხო დამცველი საერთაშორისო ომბუდსმენის ინსტიტუტის მსოფლიო კონფერენციაზე მოხსენებით გამოვიდა

13-19 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი და მისი დელეგაციის წევრები ტაილანდის დედაქალაქ ბანგკოკში „ომბუდსმენის ინსტიტუტის ევოლუციის“, სახელით მიმდინარე საერთაშორისო ომბუდსმენის ინსტიტუტის (IOI) რიგით მე-11 მსოფლიო კონფერენციას და გენერალურ ასამბლეას დაესწრნენ.

კონფერენციაზე საპატიო მომხსენებლის სტატუსით მიწვეულმა სახალხო დამცველმა სიტყვით გამოსვლისას მრავალმხრივ და ბოლო წლებში კიდევ უფრო გაფართოებულ მანდატზე ისაუბრა; დეტალურად განიხილა პრევენციის ეროვნული მექანიზმის, ანტიდისკრიმინაციული კანონის იმპლემენტაციის და გაეროს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციის მონიტორინგის მექანიზმები.

გენერალურ ასამბლეაზე განიხილეს ორგანიზაციის ანგარიში, სტრატეგია, აირჩიეს ახალი აღმასრულებელი კომიტეტი. გაიმართა ომბუდსმენების რეგიონული შეხვედრები და სესიები პრაქტიკაზე, ინოვაციურ იდეებზე, რამდენიმე მანდატიანი ომბუდსმენის გამოწვევებსა და ომბუდსმენის მუშაობის შეფასების მეთოდოლოგიებზე.

3.4. საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილე ეუთოს დელეგაციის წევრებს შეხვდა

21 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველის ოფისს გენდერულ საკითხებში ეუთოს მოქმედი თავმჯდომარეობის სპეციალური წარმომადგენელი მელანი ვერვეერი ეწვია.

შეხვედრაზე სახალხო დამცველის მოადგილემ ეკატერინე სხილაძემ გენდერული თანასწორობის მიმართულებით სახალხო დამცველის მანდატისა და აპარატის საქმიანობის შესახებ ისაუბრა და ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის კუთხით სახალხო დამცველის აპარატის შესაძლებლობები განიხილა.

მხარეებმა ყურადღება გაამახვილეს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მიმართულებით არსებულ საკანონმდებლო გამოწვევებზე, ქალთა პოლიტიკურ მონაწილეობაზე, ქალთა ჩართულობაზე მშვიდობის მშენებლობის პროცესებში და საზოგადოებაში არსებულ სტერეოტიპებზე ქალის როლთან დაკავშირებით.

3.5. შეხვედრა სომხეთის ადამიანის უფლებათა დაცვის აპარატისა და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენლებთან

24—25 ნოემბერს სახალხო დამცველის აპარატს სომხეთის ადამიანის უფლებათა დაცვის აპარატისა და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის სომხეთის ოფისის წარმომადგენლები ეწვივნენ. შეხვედრაზე სახალხო დამცველის პირველმა მოადგილემ ნათია კაციტაძემ და სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებმა სტუმრებს სახალხო დამცველის მანდატი და აპარატის საქმიანობის სხვადასხვა მიმართულებები გააცნეს; მათ შორის, თავშესაფრის მაძიებელთა და ლტოლვილთა საკითხებზე სახალხო დამცველისა და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის ერთობლივი პროექტის საქმიანობა, დევნილთა და კონფლიქტით დაზარალებულ პირთა უფლებრივი მდგომარეობა.

შეხვედრა გაიმართა სამხრეთ კავკასიის გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის წარმომადგენლობის ორგანიზებით და მიზნად ისახავდა ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით, საქართველოს სახალხო დამცველის გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას.

3.6. კონფერენცია ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის საკითხებზე

25 ნოემბერს, სერბეთის დედაქალაქ ბელგრადში, „ქალთა მიმართ ძალადობის აკრძალვის კომპლექსური მიდგომის“ თემაზე გამართულ კონფერენციაზე საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილე ეკატერინე სხილაძე მოხსენებით გამოვიდა, სადაც ხაზგასმით ისაუბრა იმ გამოწვევებზე თუ წინგადადგმულ ნაბიჯებზე, რომლებიც გენდერული თანასწორობის კუთხით საქართველოში იკვეთება; მიმოიხილა ძალადობის მსხვერპლთათ-

ვის არსებული სახელმწიფო სერვისები, ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე ინდივიდუალური განცხადებების შესწავლის, დამცავი და შემაკავებელი ორდერების შეფასებისა და ქალთა მკვლელობების მონიტორინგის შედეგები.

ღონისძიებას ეუთოს სერბეთის მისიის მხარდაჭერით, ორგანიზება გაუწიეს სერბეთის სახალხო დამცველის ოფისმა და ეროვნული ასამბლეის ადამიანის და უმცირესობათა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის კომიტეტმა.

3.7. შეხვედრა ეუთოს რეგიონში ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების დამოუკიდებლობის გაძლიერების საკითხზე

28—29 ნოემბერს, პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილემ ეკატერინე სხილაძემ და სახალხო დამცველის მთავარმა მრჩეველმა იურიდიულ საკითხებში ვანდა ჯიჯელავამ ეუთოს რეგიონში ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების დამოუკიდებლობის გაძლიერების საკითხზე ექსპერტთა შეხვედრაში მიიღეს მონაწილეობა.

ევროპის ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების ხელმძღვანელებმა, ექსპერტებმა, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ადამიანის უფლებათა სხვა ინსტიტუტების წარმომადგენლებმა ადამიანის უფლებათა დამცველი ეროვნული ინსტიტუტების დამოუკიდებლობის მნიშვნელობაზე იმსჯელეს და ამ მიმართულებით არსებული სხვადასხვა საუკეთესო პრაქტიკა განიხილეს. გაიმართა დისკუსია ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების პლურალიზმისა და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისთვის აუცილებელი სამომავლო ნაბიჯების შესახებ.

შეხვედრა ორგანიზებული იყო ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის, ადამიანის უფლებათა საკითხებში პოლონეთის კომისრის ოფისის, ომბუდსმენთა საერთაშორისო ინსტიტუტის, ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების ევროპული ქსელისა და ევროპის საბჭოს მიერ.

3.8. საქართველოს სახალხო დამცველის შეხვედრები ევროპის საბჭოში

29 ნოემბრიდან 2 დეკემბრამდე საქართველოს სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა, სახალხო დამცველის პირველმა მოადგილემ ნათია კაციტაძემ და ევროკავშირის პროექტის ხელმძღვანელმა ლევან მესხორაძემ საფრანგეთის ქალაქ სტრასბურგში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში ორმხრივი შეხვედრები გამართეს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის და ადამიანის უფლებათა კომისრის ოფისის და ევროსაბჭოს სხვა წარმომადგენლებთან.

საქართველოს სახალხო დამცველმა ევროპის საბჭოს წარმომადგენლებს გააცნო 2016 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობა; ყურადღება გაამახვილა სასამართლო სისტემის ხარვეზებზე, დისკრიმინაციის აღმოფხვრის კუთხით განხორციელებულ ღონისძიებებსა და ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში არსებულ სხვა გამოწვევებზე.

შეხვედრებზე ისაუბრეს საქართველოს სახალხო დამცველის მიერ მიმდინარე წელს 27 ნოემბერს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის წინაშე წარდგენილ კომუნიკაციაზე, რომელიც უკავშირდება სტრასბურგის სასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ მიღებული რამდენიმე გადაწყვეტილების აღსრულებას. კომუნიკაცია კონკრეტულად ეხება ღარიბაშვილის ჯგუფის საქმეების აღსრულების მდგომარეობასა და სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების გამოძიების კუთხით საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაში არსებულ სისტემურ/სტრუქტურულ ხარვეზებს.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნა წარმოადგენს უალტერნატივო პირობას იმისათვის, რომ საქართველოს მთავრობამ კეთილსინდისიერად შეასრულოს სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებები, როგორც ამას მოითხოვს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 46-ე მუხლი.

4. სახალხო დამცველის რეკომენდაციები, წინადადებები და ზოგადი წინადადებები

წინადადება საქართველოს მთავარ პროკურორს სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შესახებ

4 ნოემბერს სახალხო დამცველმა მთავარ პროკურორს ბრალდებულ შ.კ-ს მიმართ ფინანს-

ური პოლიციის თანამშრომლების მიერ განხორციელებულ არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ფაქტის დაუყოვნებლივ გამოძიების დაწყების წინადადებით მიმართა.

საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულთან საუბარში ბრალდებულმა შ.კ.-მ განაცხადა, რომ ერთ–ერთ მაღაზიაში, რიგის დარღვევის გამო, ორმა უცნობმა პიროვნებამ, რომლებმაც თავი პოლიციის თანამშრომლებად წარადგინეს, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს, შედეგად ბრალდებულმა გონება დაკარგა. ნიშანდობლივია, რომ დაკავების შემდეგ, ბრალდებულს დროებითი მოთავსების იზოლატორში ოთხჯერ გაუწიეს პირველადი სამედიცნო დახმარება და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის მოთხოვნის საფუძველზე კლინიკაში გადაიყვანეს, სადაც ოპერაციული მკურნალობა ჩაუტარდა.

მონახულებისას ბრალდებულს სხეულზე სხვადასხვა სახის დაზიანება აღენიშნებოდა. მრავლობითი დაზიანებების ფაქტი თბილისის დროებითი მოთავსების იზოლატორიდან მოპოვებული დოკუმენტაციითაც დასტურდება.

4.9. ზოგადი წინადადება დისკრიმინაციული სტერეოტიპების შემცველ რეკლამებთან დაკავშირებით

საქართველოს სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „სისი ლოუნის“ სწრაფი სესხის შესახებ ტელევიზიით და ინტერნეტით გავრცელებული სარეკლამო რგოლები ადამიანთა გარკვეული ჯგუფების მიმართ უარყოფითი სტერეოტიპების გაძლიერებას უწყობს ხელს.

სახალხო დამცველმა არ გაიზიარა მოპასუხის არგუმენტი, რომ მოცემულ შემთხვევაში გამოხატვის თავისუფლებას შეიძლება უპირატესობა მიენიჭოს დისკრიმინაციული სტერეოტიპების წახალისების თავიდან აცილების ინტერესთან მიმართებით და **9 ნოემბერს** ზოგადი წინადადებით მიმართა შპს „სისი ლოუნს“, თავი შეიკავოს მსგავსი შინაარსის შემცველი რეკლამების გავრცელებისგან და სარეკლამო რგოლების მომზადებისას პატივი სცეს ადამიანის ღირსებას.

4.10. ტელეკომპანია „ტაბულას“ სექსისტური შინაარსის მქონე ვიდეო რგოლის შესახებ

10 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა ტელეკომპანია „ტაბულას“ სექსისტური შინაარსის მქონე სარეკლამო ვიდეო–რგოლის ინტერნეტ სივრციდან მოხსნისა და მომავალში საქმიანობის თანასწორობის პრინციპის დაცვით წარმართვის ზოგადი წინადადებით მიმართა.

სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ გავრცელებული ვიდეო–რგოლი, რომელშიც ქალის შიშველი სხეული გამოყენებულია ღირებულებას მოკლებულ ნივთად, აუფასურებს ქალის პიროვნებას და ხელს უწყობს გენდერული სტერეოტიპების გაძლიერებას. ქალის შეფასება მისი გარეგნული, ბიოლოგიური მახასიათებლებით, მისი ობიექტივიზაცია და „ნივთად წარმოჩენა“ წარმოადგენს სექსიზმს, რომელსაც დამანგრეველი შედეგების მოტანა შეუძლია ქალთა უფლებრივი მდგომარეობისთვის საქართველოში.

4.11. ზოგადი წინადადება სექსისტურ წარწერასთან დაკავშირებით

21 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა „ვაკის საცურაო აუზს“ სექსისტურ განცხადებასთან დაკავშირებით ზოგადი წინადადებით მიმართა. სადაც აღნიშნული იყო, რომ „ვაკის საცურაო აუზის ტერიტორიაზე“ გამოკრული წარწერა: „ძვირფასო ქალბატონებო, კრიტიკულ დღეებში აუზში ჩასვლა აკრძალულია“ – გენდერული სტერეოტიპების გამყარებას უწყობს ხელს.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ჰიგიენური ნორმების დაცვის საჭიროების არსებობის შემთხვევაში, ნებისმიერი ამკრძალავი წარწერა გენდერულად ნეიტრალური ფორმით უნდა ჩამოყალიბდეს.

4.1. რეკომენდაცია შპს „საქართველოს ფოსტას“

სახალხო დამცველმა დაადგინა ნ.ჯ.-ს შრომითი უფლების დარღვევის ფაქტი და **25 ნოემბერს** შპს „საქართველოს ფოსტას“ მიმართა რეკომენდაციით, თბილისის საქალაქო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებისა და ნ.ჯ.-ს შპს „საქართველოს ფოსტის“ ბუღალტრის ასისტენტის თანამდებობაზე განუსაზღვრელი ვადით აღდგენის თაობაზე.

ნ.ჯ. „საქართველოს ფოსტის“ ბუღალტრის ასისტენტის თანამდებობიდან ხელშეკრულების ვადის გასვლის საფუძვლით გაათავისუფლეს. ნ.ჯ.-მ სამსახურში აღდგენის მიზნით სასამართლოს მიმართა, რომელმაც დაადგინა, რომ მხარეთა შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება რეალურად დადებული იყო განუსაზღვრელი ვადით და მოსარჩელე დამსაქმებელთან იმყოფებოდა უვადო შრომით ურთიერთობაში. შესაბამისად, არ არსებობდა ნ.ჯ.-ს დაკავებული თანამდებობიდან ვადის გასვლის მოტივით გათავისუფლების საფუძველი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება მოსარჩელის დაკავებულ თანამდებობაზე აღდგენის თაობაზე.

შპს „საქართველოს ფოსტამ“ არ აღასრულა კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გად-

აწყვეტილება და ნ.ჯ.-ს ბუღალტრის ასისტენტის თანამდებობაზე 3 თვის ვადით დანიშვნა შესთავაზა, რაზეც მან უარი განაცხადა.

5. სახალხო დამცველისა და სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობა

5.1. მინიმალური ხელფასის პოლიტიკის შესაბამისობა

4 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის ნევრებს, ეკონომიკის ექსპერტებს, თბილისის საკრებულოს, დიპლომატიური მისიების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და საერთაშორისო ვალდებულებების ჭრილში, მინიმალური ხელფასის პოლიტიკის შესაბამისობის შემოწმების შესახებ კვლევა წარუდგინა.

სახალხო დამცველის აპარატმა და პროფკავშირების გაერთიანებამ, ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერით განხორციელებული ერთობლივი პროექტის ფარგლებში, საარსებო მინიმუმსა და მინიმალურ ხელფასთან დაკავშირებით ქვეყანაში არსებული რეგულაციები შეამოწმეს და სხვა ქვეყნების გამოცდილებასა და საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით რეკომენდაციები შეიმუშავეს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 1970 წლის N131 კონვენციის რატიფიცირების, ეროვნული საკანონმდებლო ბაზის დახვეწის, ადეკვატური მინიმალური ხელფასის დადგენისა და ქმედითი შრომის ინსპექციის მიერ ანაზღაურებაზე კონტროლის შესახებ.

სამწუხაროდ, მოქმედი შრომის კოდექსი არ ითვალისწინებს მინიმალური ხელფასის ოდენობას, ხოლო პრეზიდენტის დადგენილებით განსაზღვრული მინიმალური ხელფასი 1999 წლიდან არ შეცვლილა და თვეში 20 ლარს შეადგენს; აღმასრულებელ ხელისუფლებაში დასაქმებულ მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება კი 135 ლარს. ორივე შემთხვევაში მინიმალური ხელფასის ოდენობა საარსებო მინიმუმზე დაბალია.

5.2. შეხვედრა კონფლიქტით დაზარალებულთათვის განათლების და სოციალური დახმარების საკითხებზე

4 ნოემბერს სახალხო დამცველის მთავარმა მრჩეველმა კონფლიქტებით დაზარალებულ რეგიონებში ადამიანის უფლებათა საკითხებში მედეა ტურაშვილმა მონაწილეობა მიიღო გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისიის სხდომაზე, სადაც განიხილეს კონფლიქტით დაზარალებული თემებისთვის განათლების და სოციალური დახმარების საკითხები. მედეა ტურაშვილმა ყურადღება გაამახვილა 2008 წლის ომის დროს დაზიანებული სახლების რეაბილიტაციის თემაზე, განსაკუთრებით გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზარდიაანთკარში. კომისიამ გადაწყვიტა დამატებით შეისწავლოს საკითხი და დააზუსტოს ბენეფიციართა და ფინანსური ხარჯის რაოდენობა.

5.3. საქართველოს სახალხო დამცველის ცხელი ხაზი 1 წლისაა

9 ნოემბერს, სახალხო დამცველის ცხელი ხაზის მუშაობის 1 წლის იუბილესთან დაკავშირებით, უჩა ნანუაშვილმა აქცია გამართა და მოსახლეობას ცხელი ხაზის საქმიანობის ამსახველი საინფორმაციო ფლაერები დაურიგა, ხოლო სოციალურ ქსელებში საინფორმაციო **ვიდეოკლიპი** გავრცელდა.

ომბუდსმენის ცხელი ხაზი (**14—81**) ადამიანის უფლებების დარღვევის შესახებ ინფორმაციას საქართველოს ნებისმიერი კუთხიდან კვირაში 7 დღე, 24 საათის განმავლობაში იღებს, ხოლო სახალხო დამცველის აპარატის რწმუნებით აღჭურვილი თანამშრომლებისგან შედგენილი რეაგირე-

ბის ჯგუფი შემთხვევის ადგილზე ჯერ–ჯერობით მხოლოდ თბილისის მასშტაბით გადის, იმ შემთხვევაში თუ 1. პირს სახელმწიფო (საჯარო) დაწესებულებების მხრიდან ემუქრება სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის დაზიანების საფრთხე; 2. პირი დაექვემდებარა უკანონო დაკავებას, დაპატიმრებას ან თავისუფლების სხვაგვარად შეზღუდვას; 3, ადგილი აქვს ოჯახში ძალადობას და სამართალდამცავი ორგანოები არ რეაგირებენ სათანადოდ; 4. ირღვევა მოქმედი კანონმდებლობით გარანტირებული ადამიანის უფლებები და თავისუფლებები.

5.4. გამოცდილების გაზიარება ოჯახში ძალადობის და ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის საკითხებზე

7-9 ნოემბერს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე გამოცდილების გაზიარებისა და სამომავლო თანამშრომლობის შესაძლებლობების განხილვის მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა სომეხ კოლეგებს უმასპინძლა.

შეხვედრა მისასალმებელი სიტყვით გახსნეს ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისის ხელმძღვანელმა კრისტიან ურსემ, საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილემ ეკატერინე სხილაძემ და სომხეთის ადამიანის უფლებების დამცველის მოადგილემ ხრაჩია პალიანმა.

სომეხი კოლეგები გაეცნენ სახალხო დამცველის მანდატს, ინსტიტუტის როლს ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის საკითხებში, საქმისწარმოების წესებს და ინდივიდუალურ საქმეებზე მუშაობის პრაქტიკას. ასევე მოისმინეს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მიმნიჭებელი ჯგუფის წარმომადგენელთა თემატური მოხსენებები.

შეხვედრა ევროპის საბჭოს ორგანიზებითა და ფინანსური დახმარებით განხორციელდა.

5.1. შშმ პირთა უფლებების კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის საკონსულტაციო საბჭოს შეხვედრა

9 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის საკონსულტაციო საბჭოს მორიგი – მერვე სამუშაო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი, სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები და საბჭოს მოწვეული წევრები. სხდომის გახსნაზე საქართველოს სახალხო დამცველმა საკონსულტაციო საბჭოს განახლებული შემადგენლობის შესახებ ისაუბრა და ახალი წევრები - მარინა მამულია და ეკატერინე ტოგონიძე წარადგინა.

სხდომაზე განიხილეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის მიზნით დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებები, მოისმინეს შშმ პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგის ანგარიში.

5.2. საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის მოხსენება გაეროს წამების პრევენციის ქვეკომიტეტის 30-ე სესიაზე

17 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსმა ნიკა კვარაცხელიამ, საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის სახელით, გაეროს წამების პრევენციის ქვეკომიტეტის 30-ე სესიის მონაწილეებს სიტყვით მიმართა.

ნიკა კვარაცხელიამ ხაზი გაუსვა 7 წლის განმავლობაში მექანიზმის მიერ შესრულებული სამუშაოს მნიშვნელობას, მიღწევებს და გამოწვევებს, მათ შორის სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებისთვის პენიტენციურ დაწესებულებებში ფოტოგადაღების უფლებამოსილების მინიჭებაზე, დახურულ დაწესებულებებში არსებული სათვალთვალო კამერების ჩანაწერებზე წვდომის დაბრკოლებებზე. ისაუბრა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან თანამშრომლობის გაძლიერებაზე. ასევე, მადლიერება გამოთქვა გაეროს წამების პრევენციის ქვეკომიტეტის მიმართ, რომელიც აქტიურად უჭერს მხარს საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის შემდგომ გაძლიერებას.

ღონისძიება გაეროს წამების წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური ოქმის ძალაში შესვლის 10 წლისთავს მიეძღვნა და მასზე ორგანიზაციის მიღწევები და არსებული გამოწვევები შეაჯამეს.

5.3. ტოლერანტობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება

18 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველთან არსებულმა ტოლერანტობის ცენტრის ეროვნულ უმცირესობათა და რელიგიათა საბჭოებმა ტოლერანტობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გამართეს, რომელსაც სახელმწიფო უწყებების, დიპლომატიური მისიების, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების და მედიის წარმომადგენლები დაესწრნენ.

ღონისძიების გახსნაზე მისასალმებელ სიტყვაში საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილემ ეკატერინე სხილაძემ მოკლედ ისაუბრა ტოლერანტობის კულტურის ისტორიაზე, გამოწვევებსა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიების მნიშვნელობაზე. ტოლერანტობის ცენტრის თანამშრომლებმა ბექა მინდიაშვილმა და კობა ჩოფლიანმა ქვეყანაში ტოლერანტობის კუთხით არსებული მდგომარეობა მიმოიხილეს.

ღონისძიებაზე სახალხო დამცველთან არსებულმა ეროვნულ უმცირესობათა და რელიგიათა საბჭოებმა ტრადიციულად გამოავლინეს და დააჯილდოვეს ე.წ. ტოლერანტობის ქომაგი მედიასაშუალება, ორგანიზაცია, პიროვნება და საჯარო მოხელე, რომლებმაც მიმდინარე წლის განმავლობაში ხელი შეუწყვეს ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების უფლებების დაცვას და ტოლერანტობის კულტურის დამკვიდრებას.

ღონისძიება საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის და აშშ–ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული საქართველოს გაეროს ასოციაციის (UNAG) „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამის“ ორგანიზებით გაიმართა.

5.4. პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლების სამუშაო ვიზიტი ხორვატიაში

22-24 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლები, ხორვატიის პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატისა და საქმიანობის გაცნობის მიზნით ხორვატიის დედაქალაქ ზაგრებში იმყოფებოდნენ.

ქართული დელეგაცია გაეცნო ხორვატიის პრევენციის ეროვნული მექანიზმის მუშაობის სტრუქტურას, ანგარიშების მომზადების თავისებურებებს, ფოტო გადაღების პრაქტიკას, მონიტორინგის ინსტრუმენტებსა და რეკომენდაციების შესრულების კონტროლის მეთოდოლოგიას. ასევე, მოინახულეს ზაგრების პოლიციის იზოლატორი, მიგრანტთა განთავსების ცენტრი და პენიტენციური დაწესებულება.

საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ხორვატ კოლეგებს გააცნეს საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატის ფარგლებში გაწეული მუშაობის შედეგები. ვიზიტის ბოლოს გაიმართა შემაჯამებელი დისკუსიაზე გამოცდილების ორმხრივად გაზიარების მნიშვნელობასა და სამომავლო თანამშრომლობის საჭიროებას გაუსვეს ხაზი.

5.5. ბავშვთა უფლებების შესახებ ევროსაბჭოს ტრენინგზე ქართველმა და აფხაზმა მონაწილეებმა მათ საზოგადოებებში მიმდინარე პროცესებზე ისაუბრეს

23-28 ნოემბერს სახალხო დამცველის მთავარმა მრჩეველმა კონფლიქტებით დაზარალებულ რეგიონებში ადამიანის უფლებათა საკითხებში მედეა ტურაშვილმა და თანასწორობის დეპარტამენტის უფროსმა ქეთი შუბაშვილმა მონაწილეობა მიიღეს ევროსაბჭოს მიერ ორგანიზებულ ტრენინგ-სემინარში, რომელიც მიზნად ისახავდა ბავშვთა უფლებების შესახებ ტრენერთა მომზადებას. სემინარს ასევე ჰქონდა ნდობის მშენებლობის მიზანი; ქართველ და აფხაზ მონაწილეებს შესაძლებლობა მიეცათ გაეცვალათ ინფორმაცია მათ საზოგადოებებში მიმდინარე პროცესებზე და ემსჯელათ ბავშვთა უფლებების დარღვევების, დისკრიმინაციის და სხვა პრობლემების აღმოფხვრის გზებზე

5.6. ტრადიციით გამართლებული ძალადობა გოგონებსა და ქალებზე

25 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა მორიგი საჯარო დებატები გამართა ამჯერად თემაზე: „ტრადიციით გამართლებული ძალადობა გოგონებსა და ქალებზე“. ომბუდსმენის მიერ ორგანიზებულ დისკუსიაში მოხსენებით წარსდგნენ ადგილობრივი ხელისუფლების, ჯანდაცვის სამინისტროს, არასამთავრობო სექტორისა და მუსლიმთა თემის წარმომადგენლები.

საჯარო დებატების მთავარ განსახილველ საკითხს წარმოადგენდა ბოლო დროს გავრცელებული ინფორმაცია ქალის გენიტალიების დასახიჩრების შესახებ, რომლის შესწავლაც სახალხო დამცველმა საკუთარი ინიციატივით დაიწყო. შესწავლის პროცესში ყვარლის რაიონის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფლებში სახალხო დამცველის რწმუნებულებს ადგილობრივმა მოსახლეობამ აღნიშნული ფაქტი დაუდასტურა, რაც თავად მოსახლეობამ რელიგიური და ტრადიციული წეს–ჩვეულებებით გაამართლა.

დებატებზე პრობლემის პრევენციისათვის ჯანდაცვის სამინისტროს ხედვა წარმოადგინეს, განიხილეს სტამბოლის კონვენციის რატიფიცირების საკითხი, ადგილობრივი თვითმმართველობის როლი აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრისთვის და არასამთავრობო სექტორისა და სახალხო დამცველის რეკომენდაციები.

საქართველოს სახალხო დამცველის საჯარო დებატები დაფინანსებულია ევროკავშირის პროექტის „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ხელშეწყობა II“ მიერ.

5.7. ტრენინგი პენიტენციურ დაწესებულებებში ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხების მონიტორინგთან დაკავშირებით

3-5 ნოემბერს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებსა და სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს, ჩაუტარდათ ტრენინგი „პენიტენციურ დაწესებულებებში ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხების მონიტორინგთან დაკავშირებით“.

ტრენინგს საერთაშორისო ექსპერტები – დოქტორი კლაივ მიუ და დოქტორი ჯულია კარტრაითი უძღვებოდნენ. მათ განიხილეს ისეთი საკითხები, როგორიცაა სამედიცინო შემოწმება და დოკუმენტაცია, ფსიქიატრიული ჯანმრთელობის დაცვისა და მკურნალობის გეგმა, ფსიქოაქტიური მედიკამენტები და წამალდამოკიდებულ პატიმართა მენეჯმენტი, სუიციდის პრევენცია, ინტერვიუები პერსონალსა და პაციენტებთან და ფსიქიკური ჯანმრთელობის სხვა პრობლემები პენიტენციურ დაწესებულებებში. ტრენინგის ფარგლებში გაიმართა სასწავლო ვიზიტები N18 სამკურნალო და N8 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში.

ღონისძიების ორგანიზატორი იყო ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროგრამა „ადამიანის უფლებები ციხეებსა და დახურული ტიპის სხვა დაწესებულებებში“.

5.8. კონფერენცია მშვიდობის მშენებლობის პროცესებში ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების ჩართულობაზე

24 ნოემბერს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის კოორდინატორმა ნინო კუხიანიძემ მონაწილეობა მიიღო უკრაინის დედაქალაქ კიევში გამართულ კონფერენციაში თემაზე, „თუ გინდა მშვიდობა, შექმენი ის - ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტები, როგორც აქტიური მონაწილეები მშვიდობის მშენებლობის პროცესებში“.

სახალხო დამცველის წარმომადგენელმა ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის, განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფების უფლებრივი მდგომარეობაზე, მშობლიურ ენაზე სწავლების ხელმისაწვდომობის პრობლემებზე, თავისუფალი გადაადგილების სირთულეებზე და სხვა საკითხებზე ისაუბრა.

კონფერენციას უკრაინაში გაეროს განვითარების პროგრამისა და დანიის სამეფოს საელჩოს მხარდაჭერით, ორგანიზება უკრაინის ადამიანის უფლებათა საპარლამენტო კომისარმა ვალერია ლუტკოვსკამ გაუწია.

5.9. შშმ პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის სამუშაო ჯგუფის ყოველწლიური შეხვედრა

24–25 ნოემბერს, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის დეპარტამენტის წარმომადგენელმა ნინო ვალიკოვმა გერმანიის ქალაქ ბერლინში შშმ პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის სამუშაო ჯგუფის ყოველწლიურ შეხვედრასა და სემინარში მიიღო მონაწილეობა, სადაც სამუშაო ჯგუფის წევრებს კონვენციის იმპლემენტაციის მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში დანერგილი პრაქტიკა გააცნო და ამ მიმართულებით ქვეყანაში არსებულ გამოწვევებზე ისაუბრა.

სემინარზე განიხილეს კონვენციის მე–13 მუხლის სამართლებრივი ინტერპრეტაციისა და პრაქტიკული იმპლემენტაციის საკითხები, ის ბარიერები, რომლებსაც შშმ პირები მართლმსაჯულების მისაწვდომობის უზრუნველყოფის კუთხით აწყდებიან, ასევე საშუალებები და შესაძლებლობები ამ ბარიერების დასაძლევად.

შეხვედრა გაიმართა ადამიანის უფლებების ეროვნული ინსტიტუტების ევროპული ქსელის (ENNHRI) ორგანიზებით და მასში მონაწილეობა მიიღო ევროპის 14 სახელმწიფოს წარმომადგენელმა.

5.10. შეხვედრა ბავშვის მიმართ ფიზიკური ძალადობის აკრძალვის საკითხებზე

28 ნოემბრიდან 2 დეკემბრის ჩათვლით, სახალხო დამცველის ბავშვის უფლებების ცენტრის უფროსმა მაია გედევანიშვილმა მონაწილეობა მიიღო ქალაქ სტოკჰოლმში შვედეთის ინსტიტუტისა და „გადავარჩინოთ ბავშვების“ (Save the Children) მიერ ორგანიზებულ შეხვედრაში ბავშვის მიმართ ფიზიკური ძალადობის აკრძალვის საკითხებზე.

შეხვედრაზე მსოფლიოს 7 ქვეყნის წარმომადგენლებმა იმსჯელეს ბავშვის ფიზიკური დასჯის სამართლებრივ ასპექტებზე და კანონის აღსრულებაზე, ასევე, ბავშვისთვის აუცილებელი არაძალადობრივი გარემოს შექმნის საკითხებზე. შვედეთში ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა ამ სფეროს ექსპერტების შეხვედრა, გამოცდილების გაზიარება და საერთაშორისო ქსელის შექმნის ხელშეწყობა.

სახალხო დამცველის წარმომადგენელმა ვრცლად ისაუბრა ბავშვის ფიზიკური დასჯის საკითხებთან დაკავშირებით, როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელ დონეზე საქართველოში არსებული სიტუაციის შესახებ.

5.11. კატო მიქელაძის პრემიის 2016 წლის გამარჯვებული ეკატერინე სხილაძე გახდა

29 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილე ეკატერინე სხილაძე კატო მიქელაძის პრემიის გამარჯვებული გახდა. კატო მიქელაძის სახელობის პრემია, საქართველოში, ქალთა ფონდმა 2013 წელს დააწესა და ის ყოველწლიურად, ქალთა უფლებების დამცველთა საერთაშორისო დღეს ტარდება.

ეკატერინე მრავალი წელია მუშაობს ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე და მისი სურვილით, პრემიის შედეგად მიღებული თანხა მოხმარდება ყვარლის მუნიციპალიტეტის სამ სოფელში სამკითხველოს გახსნას; იქ, სადაც ყველაზე მეტად იჩინა თავი ძალადობრივმა კულტურამ და მავნე ტრადიციამ ახალგაზრდები შეძლებენ შეიკრიბონ, იმსჯელონ და აზრები გაუზიარონ ერთმანეთს უკეთესი მომავლისთვის.

სამოქალაქო განათლების მიზნით ჩატარებული ღონისძიებები

5.12. სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა აკადემიის ტრენინგი შინაგან საქმეთა სამინისტროს დეტექტივ-გამომძიებლებისთვის

31 ოქტომბრიდან 4 ნოემბერის ჩათვლით სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა აკადემიამ შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისისა და რეგიონის 44 დეტექტივ–გამომძიებელს ტრენინგი ჩაუტარა თემაზე: „სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიება“.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანასწორობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ქეთევან შუბაშვილმა და საერთაშორისო ექსპერტმა, დიდი ბრიტანეთის იუსტიციის სამინისტროს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების პროგრამის ხელმძღვანელმა და ეროვნული პოლიციის საბჭოს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიების ჯგუფის წევრმა პოლ ჯიანასმა მონაწილეებს შესაძლო სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ინდიკატორები, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებების საერთაშორისო და რეგიონული სტანდარტები, დიდი ბრიტანეთის გამოცდილება, მონაცემთა ბაზის არსებობის საჭიროება და შექმნა და სხვა ძირითად საკითხები გააცნეს.

სწავლების დასრულების შემდეგ საქართველოს სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა და სახალხო დამცველის მოადგილემ ეკატერინე სხილაძემ მონაწილეებს სერთიფიკატები გადასცეს.

ტრენინგი ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ დაფინანსებული პროექტის „სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა აკადემიის მხარდაჭერა“ ფარგლებში განხორციელდა.

5.13. სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა აკადემიის ტრენინგი – „გენდერული საკითხების გაშუქება და ჟურნალისტური ეთიკა“

10-13 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა აკადემიამ გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN WOMEN) ფინანსური მხარდაჭერით გამართა ტრენინგი თემაზე – „გენდერული საკითხების გაშუქება და ჟურნალისტური ეთიკა“. ტრენინგს ცენტრალური და რეგიონული მედიის 15 წარმომადგენელი დაესწრო.

ტრენინგის მონაწილეები გაეცნენ გენდერული თანასწორობის პრინციპებს, გენდერულ როლებს, სტერეოტიპებს და საზოგადოების განწყობებს, მედიის როლს კონფლიქტების გაშუქებისას, რეზოლუცია №1325–ს „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“, პრობლემის სწორად ფორმულირებას და ამ პრობლემის გადაჭრის შესაძლო გზების მოძიებას, კონფიდენციალობას და ჟურნალისტურ ეთიკას, გენდერული ძალადობის გაშუქების დეტალებს, ქალთა უფლებების დაცვის სფეროში არსებული ინსტიტუციური მექანიზმებს.

ტრენინგს წარუძღვნენ საერთაშორისო ექსპერტი ჰანნა სთორმი, ქართველი ექსპერტი ზვიად ქორიძე და სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენელი ანა ლობჟანიძე.

5.14. სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა აკადემიის ტრენინგი თვითმმართველი ქალაქების მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებისთვის

14–18 ნოემბერს სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა აკადემიამ თვითმმართველი ქალაქების მერიისა და საკრებულოს საფინანსო – საბიუჯეტო და სოციალურ საკითხებზე მომუშავე 17 წარმომადგენელს ჩაუტარა ტრენინგი თემაზე: „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართულობა და მათი საჭიროებების გათვალისწინება ბიუჯეტირების პროცესში“.

მონაწილეები გაეცნენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებსა და საჭიროებებს, გაეროს კონვენციას შშმ პირთა უფლებების შესახებ, სახალხო დამცველის მანდატს, საკანონმდებლო რეგულაციებს და სხვა საკითხებს.

ტრენინგს გაუძღვნენ სახალხო დამცველის აპარატის შშმ პირთა უფლებების დაცვის დეპარტამენტის უფროსი ირინე ობოლაძე და საერთაშორისო ექსპერტი, სოციალური მეცნიერებების დოქტორი და უნივერსალური დიზაინის და მისაწვდომობის ნორვეგიაში დანერგვის პროექტის ხელმძღვანელი მაიკენ ჯულ სორენსენი. სწავლების დასრულების შემდეგ მონაწილეებს სერთიფიკატები გადაეცათ.

ტრენინგი ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ დაფინანსებული პროექტის „სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა აკადემიის მხარდაჭერა“ ფარგლებში განხორციელდა.

5.15. სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა აკადემიის ტრენინგი სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს თანამშრომლებისთვის

29 ნოემბრიდან 2 დეკემბრის ჩათვლით სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა აკადემიამ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს 22 თანამშრომელს ტრენინგი ჩაუტარა თემაზე: „პენიტენციური დაწესებულებების ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მართვა“.

მონაწილეები გაეცნენ პატიმრობის რეჟიმებს, არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის გარანტიებს, საჩივრების მექანიზმს, რისკების შეფასებას, დინამიურ უსაფრთხოებას, დისციპლინურ სამართალწარმოებას და სხვა ძირითად საკითხებს.

ტრენინგს გაუძღვნენ წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის ყოფილი წევრი და ლუქსემბურგის პენიტენციური დაწესებულების ყოფილი დირექტორი, საერთაშორისო ექსპერტი ვინსენტ ტაისი, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ნიკა კვარაცხელია და ციხის საერთაშორისო რეფორმის რეგიონული დირექტორი ცირა ჭანტურია. სწავლების დასრულების შემდეგ მონაწილეებს გადაეცათ სერთიფიკატები.

ტრენინგი განხორციელდა ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ დაფინანსებული პროექტის „სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა აკადემიის მხარდაჭერა“ ფარგლებში.

6. რეგიონული დეპარტამენტის პერიოდული საქმიანობა

იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამმართველო

6.1. შეხვედრა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან

17 ნოემბერს სახალხო დამცველის აპარატის რეგიონული დეპარტამენტის იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამმართველოს უფრო-

სი მადონა ბასილაძე „ირის ჯგუფის“ მრავალფეროვნების სკოლის მსმენელებს, ეთნიკური უმცირესობების ახალგაზრდა წარმომადგენლებს შეხვდა.

მან მსმენელებს სახალხო დამცველის მანდატი და სტრუქტურა გააცნო, ესაუბრა მის საქმიანობაზე; განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის უზრუნველყოფის მიზნით, სახალხო დამცველის საქმიანობასა და სახალხო დამცველის მიერ გაცემულ კონკრეტულ რეკომენდაციებზე; შეხვედრის დასასრულს კი სახალხო დამცველის მანდატის შესახებ ბროშურები გადასცა.

კახეთის სამმართველო

6.2. ტრენინგი ანტიდისკრიმინაციულ მექანიზმსა და შრომით ურთიერთობებში დისკრიმინაციის აკრძალვაზე

4-5 ნოემბერს სახალხო დამცველის აპარატის რეგიონული დეპარტამენტის კახეთის სამმართველოს ორგანიზებით თელავში კახეთის რეგიონის საჯარო მოხელეთათვის დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, შრომით ურთიერთობებში დისკრიმინაციის თავიდან აცილების და თანასწორობის პრინციპის შესახებ ტრენინგი ჩაატარა.

ტრენინგ-სემინარზე სახალხო დამცველის აპარატის თანასწორობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ისაუბრეს სახალხო დამცველის ანტიდისკრიმინაციულ მანდატზე და სახალხო დამცველზე, როგორც დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმზე. განიხილეს სამუშაო ადგილებზე გამოვლენილი დისკრიმინაციის ფაქტები და სახალხო დამცველის მიდგომა შრომით ურთიერთობებში დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის პროცესში; გამოთქვეს მოსაზრებები ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობაში არსებულ ხარვეზებსა და ხარვეზის შევსების მნიშვნელობაზე.

ღონისძიება ბულგარეთის საელჩოს მიერ დაფინანსებული პროექტის „კახეთის რეგიონში სახალხო დამცველის აპარატის გაძლიერება“ ფარგლებში გაიმართა.

7. წარმატებული საქმეები

7.1. სახალხო დამცველის მიმართვის შედეგად გამოძიება დაიწყო

1 ნოემბერს, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიმართვისა და მიწოდებული მასალების საფუძველზე, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ დაიწყო გამოძიება თაღლითობის ფაქტზე, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტმა შეისწავლა მსჯავრდებულ რ.გ.-ს საქმე, რომელიც აცხადებდა, რომ მის ადვოკატს საადვოკატო საქმიანობის განხორციელების კანონიერი უფლებამოსილება არ ჰქონდა, იგი მოტყუებით შევიდა ნდობაში და მიიღო შესაბამისი ანაზღაურება; მაგრამ, თავისი დაცვის აქვეშ მყოფი ვერ გაამართლა და რ.გ. სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიეცა.

ზემოხსენებულ ფაქტთან დაკავშირებით მსჯავრდებულმა მთელი წლის განმავლობაში არაერთი განცხადებით მიმართა საგამოძიებო ორგანოებს, თუმცა უშედეგოდ, გამოძიება არ იწყებოდა.

7.2. შშმ პირის მძიმე სოციალური მდგომარეობა მხედველობაში მიიღეს

8 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველისთვის ცნობილი გახდა, რომ მისი მიმართვის შედეგად, სს „ლიბერთი ბანკმა“ შეისწავლა შშმ პირის ნ.ჯ–ს საქმე, გაითვალისწინა მისი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა და ფინანსური ვალდებულების ნაწილი უკან დაუბრუნა.

ნ.ჯ. ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, საჭიროებს მუდმივ ამბულატორიულ მეთვალყურეობას და მედიკამენტოზურ მკურნალობას. მის ერთადერთ შემოსავალს კი 100 ლარის ოდენობით სოციალური პაკეტი წარმოადგენს, რომელსაც მისი ოჯახის მიერ წარსულში აღებული ფინანსური ვალდებულებების გამო ვერ იღებდა. სახალხო დამცველის წერილის განხილვის დროისათვის ბანკს საკრედიტო დავალიანების მთელი თანხა (500 ლარი) უკვე ამოღებული ქონდა კრედიტორისგან და ამ თანხიდან 170 ლარი უკან დაუბრუნა.

8. ღირსშესანიშნავი თარიღები

8.1. ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღე

25 ნოემბერი ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღეა. ამ დღესთან დაკავშირებით საქართველოს სახალხო დამცველმა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენელმა საქართველოში ერიკა კვაპილოვამ მედიის წარმომადგენლებთან ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის მიმართულებით ქვეყანაში არსებულ გამოწვევებსა და პრობლემებზე ისაუბრეს.

სახალხო დამცველმა აღნიშნა, რომ მისასალმებელია, გასულ წლებთან შედარებით ოჯახში ძალადობის შემთხვევათა გამოვლენისა და მათზე რეაგირების მაჩვენებლის გაზრდა, თუმცა პრობლემის მასშტაბების და სიმძაფრის გათვალისწინებით, შესაძლო რისკების პრევენციისა და თითოეულ შემთხვევაზე ეფექტიანი რეაგირებისთვის უფრო მეტი ძალისხმევაა საჭირო. მან კიდევ ერთხელ მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას დააჩქაროს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღმოფხვრის საკითხებზე ევროსაბჭოს კონვენციის რატიფიცირება. ასევე, მოახდინოს ფემიციდის, როგორც გენდერული ნიშნით მოტივირებული მკვლელობის დეფინიციის განსაზღვრა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში.

გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენელმა ერიკა კვაპილოვამ მხარი დაუჭირა სახალხო დამცველის მოწოდებას მთავრობის მიმართ შეიქმნას ფემიციდის მონიტორინგის სისტემა, რათა საზოგადოებისთვის ცნობილი იყოს არამარტო ამგვარი ფაქტების, არამედ მათი გამოძიების და დამდგარი განაჩენის შესახებ.

9. საერთაშორისო სიახლეები ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით

9.1. ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების ევროპული ქსელის (ENNHRI) განცხადება პოლონეთის ადამიანის უფლებათა კომისრის მხარდასაჭერად

7 ნოემბერი. პოლონეთის ადამიანის უფლებათა კომისარი არის დამოუკიდებელი და პატივსაცემი ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტი, რომელიც სრულ შესაბამისობაშია გაეროს პარიზის პრინციპებთან. ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტები აღიარებულია გაეროს, ევროსაბჭოს, ევროპის საბჭოს და ევროკავშირის მიერ, როგორც ძირითადი აქტორები ადამიანის უფლებათა ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო ფარგლებში.

ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების ევროპულმა ქსელმა ღრმა შეშფოთება გამოხატა პოლონეთში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, რაც შეიძლება უარყოფითად აისახოს ადამიანის უფლებათა კომისრის სასიცოცხლო მნიშვნელობის როლზე - ხელი შეუწყოს და დაიცვას ადამიანის უფლებები გაეროს პარიზის პრინციპების და პოლონეთის კონსტიტუციის შესაბამისად.

განცხადებაში ევროპულმა ქსელმა ყურადღება გაამახვილა ისეთ საკითხებზე, რომლებიც რისკის ქვეშ აყენებს პოლონეთის ადამიანის ეროვნული ინსტიტუტის დამოუკიდებლობასა და მანდატის ეფექტურად განხორციელებას. მათ შორის არის სახელმწიფოსგან ადეკვატური დაფინანსება, უფლებამოსილების ვადის უსაფრთხოება და მისი მანდატის პატივისცემა, ფუნქციური იმუნიტეტი.

ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების ევროპული ქსელი მოუწოდებს ყველა შესაბამის სუბიექტს, მიიღოს სწრაფი ზომები, რათა უზრუნველყოს, რომ A-სტატუსის მქონე პოლონეთის ადამიანის უფლებათა კომისარს ჰქონდეს საკმარისი დაფინანსება და დამოუკიდებლობა მისი მანდატის განხორციელებისათვის.

9.2. საქართველო „ფრიდომ ჰაუსის“ ანგარიშში

14 ნოემბერს დამოუკიდებელმა ორგანიზაცია „ფრიდომ ჰაუსმა“, რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში პოლიტიკური უფლებებისა და სამოქალაქო თავისუფლებების კუთხით არსებულ ვითარებას სწავლობს, გამოაქვეყნდა ანგარიში ინტერნეტ თავისუფლების შესახებ. ანგარიშის მიხედვით, საქართველო ინტერნეტ თავისუფლების მხრივ, 65 ქვეყნას შორის, მე–10 ადგილს იკავებს, თუმცა მონაცემები წინა წელთან შედარებით ერთი ქულით გაუარესდა.

2016 წლის ანგარიშის თანახმად, ინტერნეტის თავისუფლების მხრივ საქართველო კვლავ თავისუფალ ქვეყანათა კატეგორიაში მოხვდა. საქართველოსთვის ცალკეული კრიტერიუმები ასე გამოიყურება: ხელმისაწვდომობაზე ხელის შეშლა – 8 ქულით შეფასდა (კრიტერიუმის მაქსიმალური ქულა 25–ია), კონტენტის შეზღუდვა – 6 ქულა, მომხმარებლის უფლებების დარღვევა – 11 ქულა, მესამე კრიტერიუმის მაქსიმალური ქულა 40–ია. რაც უფრო დაბალი ქულა აქვს ქვეყანას თითოეულ კრიტერიუმში, მისი მდგომარეობა ინტერნეტ თავისუფლების კუთხით კარგია. ამ სამ კრიტერიუმში

მინიჭებული ქულების მიხედვით, საქართველოს 100 ქულიდან 25 ქულა მოაგროვა, 2015 წელს საქართველოს 24 ქულა ჰქონდა.

რაც შეეხება საქართველოში ინტერნეტ თავისუფლების მდგომარეობის შესწავლის დროს აღმოჩენილ მთავარ მიგნებებს, ანგარიშში მნიშვნელოვან მოვლენად არის შეფასებული საქართველოს საკონსტუტიციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება, რომლითაც სასამართლომ დააკმაყოფილა სახალხო დამცველის სარჩელი და არაკონსტიტუციურად ცნო „სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შეუზღუდავი წვდომა სატელეკომუნიკაციო და ინტერნეტ მონაცემებზე“. „ფრიდომ ჰაუსი“ ინტერნეტ უსაფრთხოების დაცვის კუთხით გამარჯვებად აფასებს აღნიშნული გადაწყვეტილებას.

ამავდროულად, ანგარიშში უარყოფითად არის შეფასებული „ვორდპრესისა“ და „იუთუბის“ მცირე ხნით დაბლოკვის შემთხვევები მაშინ, როცა ხელისუფლება ცდილობდა აღნიშნულ პლატფორმებზე განთავსებულ კონტენტზე წვდომის შეზღუდვას და მათ წაშლას (საუბარია ისლამური სახელმწიფოს მხარდამჭერი ჯგუფის ვიდეო გზავნილებზე და პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული ჩანაწერების გავრცელების შემთხვევებზე).

ამასთან, ანგარიშში მნიშვნელოვან ფაქტორად დასახელდა ინტერნეტ მომხმარებლის სულხან წულაძის დაკავების ფაქტი. ის ერთი თვის მანძილზე იყო დაკავებული ფორუმზე განთავსებული პოსტის გამო, რომელიც გამოვლენილ თავდასხმას აღწერდა საქართველოში აშშ–ის ელჩზე. ანგარიშის თანახმად, ადამიანის უფლებათა დამცველმა ორგანიზაციებმა სულხან წულუკიძის დაკავება დაუსაბუთებლად მიიჩნიეს და აცხადებდნენ, რომ მისი პოსტი იყო ხუმრობა.

65 ქვეყანაში ინტერნეტ თავისუფლების მდგომარეობის შესწავლის შედეგად „ფრიდომ ჰაუსი“ აცხადებს, რომ მსოფლიო მასშტაბით ინტერნეტის თავისუფლება ზედიზედ მეექვსე წელია იზღუდება. ანგარიშის ძირითადი მიგნებების მიხედვით, „ინტერნეტ მომხმარებლების სრული ორი მესამედი – 67 % ცხოვრობს ქვეყანებში, სადაც მთავრობის, სამხედრო სისტემის და მმართველი ოჯახის კრიტიკა ცენზურის საგანი ხდება“. საანგარიშო პერიოდში 38 ქვეყნაში განხორციელდა დაკავებები სოციალურ ქსელებში გამოქვეყნებული სტატუსების გამო. ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ მსოფლიო მასშტაბით, ინტერნეტ მომხმარებლების სრული 27 პროცენტი ცხოვრობს ქვეყნებში, სადაც ადამიანებს აკავებენ ფეისბუქზე კონტენტის გამოქვეყნების, გაზიარების ან უბრალოდ მოწონების გამო. ანგარიშში ხაზგასმულია, რომ მთავრობების სამიზნე ხდება შეტყობინებების აპლიკაციები, ისეთი როგორიცაა „ვოთსაფი“ და „ტელეგრამი“.

10. სახალხო დამცველის აპარატის ამბები

10.1. ახალი თანამშრომლები

ნოემბრის თვიდან სახალხო დამცველის აპარატში გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის უფროსის თანამდებობაზე მუშაობა დაიწყო ანა ილურიძემ, საერთაშორისო ურთიერთობისა და კომუნიკაციების დეპარტამენტში ღონისძიებების ორგანიზატორად გასაუბრების წესით შეირჩა ანა იოსებაშვილი და ცხელი ხაზის ოპერატორად დაინიშნა ქეთევან ხვედელიანი.

10.2. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის მიერ ჩატარებული მონიტორინგი

ნოემბერში სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტმა პენიტენციური დეპარტამენტის სხვადასხვა დაწესებულებასა და შსს თბილისის ნარკოლოგიური შემოწმების განყოფილებაში 28 ვიზიტი განახორციელა და 82 პატიმარი და დაკავებული მოინახულა.

25 ნოემბერს, გარდაცვლილი პატიმრის შესახებ შემოსული ინფორმაციის საფუძველზე, დეპარტამენტის თანამშრომლები პენიტენციური დეპარტამენტის N8 დაწესებულებაში იმყოფებოდნენ, სადაც ახსნა–განმარტება ჩამოართვეს დაწესებულების თანამშრომლებს და ადმინისტრაციას. დაათვალიერეს შემთხვევის ადგილი, შეამოწმეს და მოიპოვეს გარდაცვლილი პატიმრის შესახებ ყველა სახის დოკუმენტაცია, გაესაუბრნენ მიმდებარე საცხოვრებელ საკნებში მოთავსებულ პატიმრებს.

დაფიქსირებული საკითხების თაობაზე სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტმა შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება მოახდინა და სახელმწიფო ორგანოებს პატიმართა უფლებების სავარაუდო დარღვევების შესახებ მიმართა.

10.3. მომართვიანობის სტატისტიკა

ნოემბრის თვეში სახალხო დამცველის აპარატში შემოვიდა 670 განცხადება. დასაშვებობის გავლის შემდეგ 520 განცხადება სამსახურების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

- პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტი – 6
- სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვის დეპარტამენტი – 24
- სს მართლმსაჯულების დეპარტამენტი – 216
- რეგიონული სამმართველო – 169
- ბავშვის უფლებათა დაცვის ცენტრი – 30

- გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი – 10
- შშმ პირთა უფლებების დაცვის დეპარტამენტი – 19
- ანალიტიკური დეპარტამენტი – 12
- თანასწორობის დეპარტამენტი – 33
- თავდაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი – 1



შემოსული განცხადებები თემატურად შემდეგნაირად გადანაწილდა

- ჯანმრთელობის უფლება – 1
- საარჩევნო უფლება – 2
- ინფორმაციის მიღების უფლება – 37
- დისკრიმინაცია – 12
- რელიგიის თავისუფლება – 2
- გადაადგილების თავისუფლება – 2
- საერთო სასამართლოებში საქმის განხილვის გაჭიანურება – 2
- სისხლის სამართლის საქმის გამოძიების გაჭიანურება – 6
- ეკოლოგიურ-გარემოსდაცვითი უფლებები – 1
- ხანდაზმულთა უფლებები – 2
- მიგრანტთა, თავშესაფრის მაძიებელ და თავშესაფრის
- მქონე პირთა უფლებები – 3
- ეკო-მიგრანტთა უფლებები – 1
- დევნილთა უფლებები – 3
- სოციალური დახმარებს საკითხი – 14
- შრომითი უფლებები – 6
- საკუთრების უფლება – 11
- უფლება სათანადო საცხოვრისზე – 3
- პატიმრობების პირობები – 159
- პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობა – 56
- წამება და არასათანადო მოპყრობა – 38
- ბავშვის უფლებები – 22
- გენდერული თანასწორობის და ქალთა უფლებები – 10
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებები – 12
- სხვადასხვა – 265



კონტაქტი

თბილისი:
ნინო რამიშვილის 6. თბილისი 0179
ტელ.: +99532 2234499 / 2913814 / 2913815 / 2913841 / 2913842 / 2913843 / 2913875 / 2913876 / 2913877
ფაქსი: +99532 913841
ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge

ოზურგეთი:
დავით აღმაშენებლის 9
ტელ.: 0496 27 30 53
მობ.: 593 44 44 27

ახალქალაქი:
ჭავჭავაძის 4
ტელ.: 0362 22 32 83
მობ.: 577 12 27 70;
591 96 88 82

ზუგდიდი:
კოსტავას 58
ტელ.: 0415 22 36 11
მობ.: 595 52 53 56

ბათუმი:
მაზნიაშვილის 9
ტელ.: 0422 27 05 44
მობ.: 595 80 78 43

მარნეული:
რუსთაველის 51
ტელ.: 0357 22 19 70
მობ.: 595 52 53 57

გორი:
სამების N1
ტელ.: 0370 27 05 49
მობ.: 551 66 14 77

ქუთაისი:
რუსთაველის 18
ტელ.: 0431 25 33 50
მობ.: 577 55 33 81

თელავი:
ჩოლოყაშვილის 3
მობ.: 591 88 35 38
ტელ.: 0350 27 99 27

ცხელი ხაზი – 1481

რედაქტორი: თეონა გოგოლაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
ნიკო თათულაშვილი
ლევან მესხორაძე